



LETROZOLE - FEMARA®

რა არის FEMARA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ლეტროზოლი	ტაბლეტი 2.5 მგ: ყვითელი, მრგვალი არსებობს გენერიკები სხვადასხვა ფორმით 

როგორ უნდა მიიღოთ ნამალი?

ნამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის 2,5 მგ დღეში, ანუ 1 აბი დღეში, რომელიც უნდა მიიღოთ ერთ მიღებაზე, ყოველდღე. გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დალეჭვის ან განზავების გარეშე.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს. კვების განმავლობაში ან კვების გარეთ.

დავინყების ან ლებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთხელ დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეთ	  
უწყვეტლივ	        
	დ1 დ2 დ3 დ4 დ5 დ6 დ7 ... დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ (სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა შევამოწმოთ ქოლესტერინის დონე და ღვიძლის ფუნქცია) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ძვლის სიმკვრივე ოსტეოდენსიტომეტრიის გამოყენებით).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

FEMARA®-ს სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანასა და სოიაზე ან იზოფლავონზე დამზადებული დანამატების გადაჭარბებულ მოხმარებას ლეტროზოლთან ერთად (ფიტოესტროგენის კონცენტრირებული წყარო). სოიას გამოყენება კვებაში ნებადართულია.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.



გვერდითი მოვლენები

ყველაზე ხშირი	უეცარი შეხურება: ქარბი ოფლიანობა მომწელებელი სისტემის დარღვევები: გულის რევის შეგრძნება სახსრებში: ტკივილი, სიხისტე ან ანთება სხვა: დაღლილობა, ჰიპერქოლესტერინემია, ძვლის დანაკარგი (ოსტეოპოროზი)
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო ჯგუფს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში > სახსრების ტკივილი მომწელებელი სისტემის დარღვევები > წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > შეუძლებლობა დალიოთ 24 საათის განმავლობაში და/ან მიიღოთ საკვები 48 საათის განმავლობაში ოსტეოპოროზის მაჩვენებელი სიმპტომები > მოტეხილობები
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
უეცარი შეხურება	დაკავდით ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით აირიდეთ თავიდან სიცხის წყარო.
სახსრების ტკივილი	დაკავდით ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით
დაღლილობა	ამჟობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით გადაადგილება, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
ვაგინალური სიმშრალე	ინტიმური ჰიგიენისთვის გამოიყენეთ რბილი, უსუნო საპონი, შესაბამისი pH-ით (pH 5-დან 7-მდე). აირიდეთ თავიდან ინტიმური ჰიგიენის ჩატარება დღეში 2-ზე მეტჯერ, ვინაიდან ეს შეიძლება არღვევდეს ვაგინალურ ფლორას. ნუ ატარებთ ძალიან მოჭრილ ტანსაცმელს და სინთეტიკურ საცვლებს, რომელიც ხელს უწყობს გაღიზიანებას
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
უეცარი შეხურება	თავიდან აიცილეთ ცხარე საკვების, ალკოჰოლისა და კოფეინის შემცველი პროდუქტების მოხმარება. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
ოსტეოპოროზი	უპირატესობა მიანიჭეთ ცალციუმით მდიდარ საკვებს: რძე, იოგურტი და ა.შ.
გულისრევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.

